ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

26 აპრილი, პარასკევი, 1991 წ.
№ 76 (10 489) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს სპორტული ორგანიზაციები განაგრძობენ საერთაშორისო სარბიელზე გასვლის გზების ძიებას, მაგრამ ეს ძიება ჯერჯერობით წინააღმდეგობებს აწყდება, თუმცა სპორტი მაინც ნახავს თავის გზას მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში

დამოუკიდებლად საქართველოს სპორტსმენთა საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე მონაწილეობის პრაქტიკული ნაბიჯები, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გადაიდგა. რესპუბლიკის სპორტსახკომმა და ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიმართეს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა საქართველოს სპორტსმენებისათვის ხმელთაშუა ზღვის თამაშებში მონაწილეობის ნება დაერთოთ. ადრე მიღებულ მოკრძალებულ პასუხს ახლა უშუალოდ ხმელთაშუა ზღვის თამაშების საერთაშორისო კომიტეტიდან მოჰყვა საბოლოო გადაწყვეტილება. გთავაზობთ ფაქსის მეშვეობით მიღებული ტექსტის შინაარსს.

**საქართველო, თბილისი,**

**სპორტის დეპარტამენტს,**

**ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს**

**თქვენგან მიღებული ფაქსის გამო, გაცნობებთ, რომ ხმელთაშუა ზღვის თამაშების საერთაშორისო კომიტეტის სტატუსის შესაბამისად, ხმელთაშუა ზღვის თამაშებში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ამ რეგიონში შემავალ, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებულ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს.**

**ზემოაღნიშნულის გამო, ვწუხვართ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ თქვენი წინადადება ხმელთაშუა ზღვის თამაშებში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობის თაობაზე.**

**გულწრფელად თქვენი**
**ნიკოს ფილარეტოსი,**
**ხმელთაშუა ზღვის თამაშების საერთაშორისო კომიტეტის გენერალური მდივანი.**

**ათენი.**

### მოიწვიეს კამპომანესი

**ამ** დღეებში საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა და ჭადრაკის რესპუბლიკურმა ფედერაციამ ტელექსი გაგზავნა შვეიცარიაში. დავძენთ, რომ მოწვევას, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიდესთან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი და პირდაპირი ურთიერთობის საკითხების მოსაგვარებლად.

გთავაზობთ ტელექსის შინაარსს სრულად:

**საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი და ჭადრაკის ფედერაცია ეპატიჟება ფიდეს პრეზიდენტს ბატონ ფლორენსიო კამპომანესს ეწვიოს თბილისს, სადაც ჩატარდება ნონა გაფრინდაშვილის იუბილისადმი მიძღვნილი ზეიმი, ხოლო 2-22 მაისს საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა შერეული ტურნირი მაია ჩიბურდანიძის, ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, ზურაბ აზმაიფარაშვილის და სხვა დიდოსტატების მონაწილეობით.**

**გელოდებით თქვენთვის ხელსაყრელ დღეებში ზემოაღნიშნული ვადის ფარგლებში.**

**საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,**
**ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაცია.**

მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას

ექსპერიმენტული ტურნირი

## „უდებიუტოს“ დებიუტი

ამ უჩვეულო შეჯიბრების გამართვის თაოსანი იყო „ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის“ კასპის კომიტეტი. თვით ტურნირის ჩატარების იდეის ავტორი კი ინჟინერ-ელექტრიკოსი გელა გურასპაშვილი გახლავთ. სწორედ მას დაებადა 1984 წელს უდებიუტო ჭადრაკში ტურნირის გამართვის იდეა და ეს აზრი გაუზიარა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მაშინდელ თავმჯდომარეს გიორგი ბედინეიშვილს, რომელმაც მოჭადრაკეებს მიმართა თხოვნით, დაეწერათ დასკვნა. იგი უარყოფითად მიიღეს და მხოლოდ ახლა, 7 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ იდეის განხორციელება.

თამაშის წესებიც ორიგინალური იყო: ცარიელ დაფაზე მეტოქეები რიგრიგობით ალაგებდნენ ფიგურებს (მხოლოდ თავიანთ ნახევარზე) და, როდესაც ყველა ფიგურას დაფაზე გაანაწილებდნენ, შემდეგღა აგრძელებდნენ „ჩვეულებრივი ჭადრაკის“ თამაშს. რეგლამენტით თითოეულ მოჭადრაკეს მოფიქრებისთვის ეძლეოდა მთელ პარტიაზე თითო საათი.

შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ I-V ადგილებზე გასულთათვის დაწესებული იყო ფულადი პრიზები (I — 2000 მან, II — 1500 მან, III — 1000 მან, IV — 600 მან, V — 500. მან), გარდა ამისა, შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის დიდოსტატებმა მიიღეს 550 მანეთი, დანარჩენებმა — 450.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეჯიბრება პირველად მოეწყო, მოჭადრაკეებმა (სულ 12 მონაწილე), სწრაფად აუღეს ალღო და ტურნირიც მეტად საინტერესო გამოდგა.

თავდაპირველად დაწინაურდა ოსტატი თამაზ ტაბატაძე, მაგრამ ფინიშზე მან წაიფორხილა, ამ დროს კი საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი პარტიას პარტიაზე იგებდა და საბოლოოდ 9,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. II-III ადგილები 9-9 ქულით გაიყვეს საერთაშორისო დიდოსტატმა გენადი ზაიჩიკმა და ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV. საერთაშორისო დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა — 7, V. საერთაშორისო დიდოსტატი ნანა ალექსანდრია — 6,5, VI. ოსტატობის კანდიდატი ნიკოლოზ ხეჩიკაშვილი — 6, VII. საერთაშორისო დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი — 5,5, VIII. ოსტატობის კანდიდატი მიხეილ ჭიპაშვილი — 4,5, IX. ოსტატობის კანდიდატი ემილ მიქაელიანი — 3, X-XII. ოსტატი ალექსანდრე ბოკუჩავა, ოსტატობის კანდიდატი თემურ მეტრეველი, საერთაშორისო ოსტატი თამარ ხმიადაშვილი — 2-2.



ზურაბ აზმაიფარაშვილი

**ვასილ ვაშაკიძე**

**გუშინ, თბილისში, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში თბილისის „იბერიამ“ დაამარცხა ზუგდიდის „ოდიში“ — 1:0.**

### 26 მაისს — ღირსეული სპორტული დღესასწაული!

**„ლელოს“ რედაქციას!**

**დღეს,** როდესაც იმპერიული ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩაახშონ თავისუფლებისმოყვარე ქართველი და ცენტრის დიქტატს დაქვემდებარებული სხვა ხალხების სწრაფვა ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ, არ ერიდებიან არანაირ ბარბაროსულ ქმედებას დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად ცხოვრების ყველა სფეროში;

როდესაც რუსული ხიშტით დაშინებული მსოფლიო დემოკრატიული ძალები, სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები ადგანან ჩაგრული „საბჭოთა“ ხალხების გასაჭირის წაყრუების პოზიციას, სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ამ ხალხების ძალისხმევის გაერთიანების იდეა.

ამ აზრის დასტურია საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტში მოსული დეპეშა ლატვიიდან, რომელიც გაზეთ „ლელოში“, ამას წინათ, 19 აპრილს გამოქვეყნდა, სადაც ლატვიელი მეგობრები სოლიდარობას გვიცხადებენ ჩვენს ბრძოლაში და გვთავაზობენ თანამშრომლობას სპორტის სფეროში.

ახლოვდება 26 მაისი, ქართველი ერის ისტორიაში უბედნიერესი დღე, რომლის ბრწყინვალებას უფრო მეტი სადღესასწაულო ელფერი შესძინა წლევანდელმა 9 აპრილმა.

26 მაისი საუკუნოდ დარჩება ქართველი ხალხის დიდ დღესასწაულად. ჩვენი აზრით, ამ დღეს განსაკუთრებულ ელფერს შესძენდა ისეთი სპორტული ზეიმი, როგორიც შეიძლება გახდეს საკალათბურთო ტურნირი „თავისუფლების თასი“ საქართველოსა და ტრადიციულად ძლიერი ბალტიის ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების დონეზე.

გვწამს, რომ საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და უზენაესი საბჭო, ყოველ ღონეს იხმარს ამ ზეიმის მაღალ სპორტულ-ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად.

**ლევან მჭედლიშვილი,**
**დავით ჭელიძე,**
**ზურაბ ვოლკატაძე,**
**ანდრო ჭელიძე,**
**მერაბ კვეკვესკირი.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ფეხბურთის განუმეორებელი დიდოსტატის**

**მიხეილ მესხის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# ნონა — სპორტული დიდების გზები

**გავიდა** ორი წელი. 1967 წელს სუბოტიცაში პრეტენდენტთა ტურნირი გაიმართა. ასეთი შეჯიბრებები სულ უფრო და უფრო ძლიერი და წარმომადგენლობითი ხდებოდა. აი, ამჯერად მონაწილეთა შორის გამოჩნდა 18 წლის ნანა ალექსანდრია, მეტად პერსპექტიული ოსტატი, შემდეგში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე. თუმცა, ამ დროისათვის მას ჯერ კიდევ აკლდა სათანადო გამოცდილება. ლაზარევიჩი, რომელიც ადრე ერთ-ერთი უახლოესი პრეტენდენტი იყო, ამჯერად მარცხიანად თამაშობდა. ბრძოლა პირველი ადგილისათვის, რომელიც ძირითადად კუშნირსა და ზატულოვსკაიას შორის მიმდინარეობდა, მოსკოველის ახალი წარმატებით დამთავრდა. ამრიგად, მან უკვე ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლება.

არავის სჯეროდა კუშნირის გამარჯვებისა მომავალ მატჩში მსოფლიო ჩემპიონთან. საკავშირო სპორტკომიტეტს კი მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა — როგორმე გაფრინდაშვილი დამარცხებული ეხილა. ცხადია, ეს დაფასთან ვერ მოხდებოდა, ყველას კარგად ახსოვდა 1965 წლის რიგის ამბები. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ყოფილა ბრძოლის სხვა გზები და საშუალებებიც.

ცხადია, მატჩის გამართვის დრო და ადგილი მის დაწყებამდე უნდა გაირკვეს, თუმცა, დროს რა დანიშვნა უნდოდა, ორთაბრძოლა მსოფლიო პირველობაზე ხომ სამ წელიწადში ერთხელ იმართება და ისიც ტრადიციულად, შემოდგომობით. დადგა 1968 წლის სექტემბერიც. მატჩის ადგილის არჩევაში, ჩვეულებრივ, უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონს ენიჭება. როცა ბიკოვამ 1962 წელს თამაში მოსკოვში მოინდომა, წინააღმდეგი არავინ ყოფილა. ასეთი ლოგიკით შეიძლებოდა 1965 წლის მატჩის მთლიანად თბილისში გამართვა, მაგრამ მაშინ ნონამ დაუთმო პრეტენდენტს. ვინ ჩაუთვალა ეს დამსახურებად, ანდა თუნდაც სპორტული ლოიალობის გამოხატულებად. ამჯერად კუშნირმა დაიწუნა ჩემპიონის მიერ შეთავაზებული ყველა ქალაქი და მაინცდამაინც მოსკოვში მოინდომა თამაში. რატომ, რა უფლებით?! როდის იყო, რომ პრეტენდენტები თავიანთ ნებასურვილს ახვევდნენ ჩემპიონებს?! კუშნირი ბოტვინიკისა და ტალის შეხვედრების მაგალითს „იშველიებდა“, სადაც რიგელი დიდოსტატი ორჯერ დათანხმდა მეტოქის „მოედანზე“ ეთამაშა. ახლანდელი პრეტენდენტი აცხადებდა, თბილისში მეტისმეტად ტემპერამენტიანი გულშემატკივრები ხელს შეგვიშლიანო (სად და ვისთვის შეუშლიათ?), ყველაზე ობიექტური მაყურებელი მოსკოვს ჰყავსო (სად და ვინ დაამტკიცა?) და ა. შ. ერთი რამ ცხადი იყო: ასეთი ხერხებით კუშნირი, უფრო მეტად კი საკავშირო სპორტკომიტეტი, ცდილობდნენ ჩემპიონის მოთმინებიდან გამოყვანას. მოლაპარაკება აღარ მთავრდებოდა. გავიდა ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, ამდენი თათბირიდან კი არაფერი გამოდიოდა.



მარცხნივ — ალა კუშნირი.

ახლა ძნელი სათქმელია, ვინ „ამოატივტივა“ მატჩის ულიანოვსკში გამართვის იდეა, რომელიც პრეტენდენტსა და მის მომხრეებს ძალიან მოეწონათ. რატომ ულიანოვსკში? 1970 წელს ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავი სრულდებოდა. საბჭოთა საჭადრაკო ჟურნალები (და არამარტო საჭადრაკო) ხელიდან არ უშვებდნენ არც ერთ შემთხვევას, რომ არ აღენიშნათ ლენინის გატაცება ჭადრაკით. ამიტომ, რად არ შეიძლებოდა მატჩი მის სამშობლოში გამართულიყო? დიახ, მაგრამ რაღა მსოფლიო პირველობის მოწყობა უნდოდათ ამ ქალაქში, რატომ სხვა დროს არ გახსენებიათ და თუნდაც ერთი ტურნირი არ ჩაუტარებიათ მანამდე. გარდა ამისა, იუბილემდე კარგა წელიწად-ნახევარი რჩებოდა. რა, მთელი ამ დროის მანძილზე უნდა მოეცადათ და მსოფლიო პირველობის ციკლი სამწლიანიდან ხუთწლიანი გაეხადათ?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 72.

იხ. გვ. 2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნონა —

## სპორტული დიდების გზები

(დასასრული)

ერთი სიტყვით, „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლდა". მატჩი კი არა და არ იწყებოდა. ვინ აღარ ჩაერია საკითხის მოსაგვარებლად. შესაძლოა, ეს დრო პრეტენდენტს შეხვედრისათვის უკეთ მოსამზადებლად სჭირდებოდა, მაგრამ სპორტული ეთიკის დარღვევის ფაქტები აშკარა იყო. ბოლოს, როცა ამდენი მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა, 7 თვის (!) დაგვიანებით მიიღეს ასეთი წინადადება: შეჯიბრების ნახევარი თბილისში ჩატარებულიყო, მეორე ნახევარი კი მოსკოვში. ასეთი წინადადების დაწუნება თვით გაჯიქებულ კუშნირსაც კი აღარ შეეძლო.

ორთაბრძოლა დაიწყო თბილისში, 1969 წლის 8 აპრილს. ჩემპიონის ოფიციალური სეკუნდანტები იყვნენ აივარ გიპსლისი (რიგა) და ივო ნეი (ტალინი), პრეტენდენტისა — ვლადიმერ იურკოვი და რუდოლფ კიმელფელდი (ორივე — მოსკოვი). თბილისელებმა შეხვედრისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს. და განა მარტო თბილისელებმა?! უნდა გენახათ, რა ხდებოდა მატჩის პრეს-ცენტრში. გამუდმებით რეკავდნენ ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, ზუგდიდიდან; ითხოვდნენ სვლებს. აინტერესებდათ ცნობილი მოჭადრაკეების აზრი. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი თითქმის ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი. ზოგი მოელოდა, რომ ნონა, ისევე, როგორც ადრე, იოლად გაუსწორდებოდა მეტოქეს; სხვები ფიქრობდნენ, რომ კუშნირი, ასე ხანგრძლივად და საგულდაგულოდ მომზადებული, უფრო შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევდა ჩემპიონს. გულშემატკივარს ოცნებას და ნატვრას ვინ დაუშლის და მაინც არავის მოსდიოდა აზრად, რომ პრეტენდენტს შეეძლო მთელი საჭადრაკო სამყარო განეცვიფრებინა და ჩემპიონი გამხდარიყო!

ეს აზრი, რა თქმა უნდა, მაშინაც არავის გასჩენია, როცა, ყველასათვის მოულოდნელად, კუშნირმა პირველი პარტია მოიგო! ძნელი სათქმელია, რამ ითამაშა აქ გადამწყვეტი როლი: კუშნირის საუკეთესო სადებიუტო მომზადებამ თუ იმ ფაქტორმა, რომ ნონას სრული ძალით ასამოქმედებლად (როგორც ეს ძალიან ბევრ მოჭადრაკეს სჩვევია) კიდევ სჭირდებოდა გარკვეული დრო. ერთი რამ მაინც ცხადია: ჩემპიონის წაგებამ კიდევ უფრო გაამძაფრა მატჩისადმი ინტერესი. ბილეთები ხომ აღარ იყო და თეატრის წინაც ბევრი გულშემატკივარი იყრიდა თავს. რას არ გაიგონებდით აქ: რა აზრისა იყვნენ მწვრთნელები, რა ახალი ცნობები ჰქონდათ ჟურნალისტებს, რა ანგარიშით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ეს ორთაბრძოლა.

მეორე პარტიაში ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა. ნონა ღია დასაწყისებს ანიჭებდა უპირატესობას, რაც კუშნირმაც კარგად იცოდა. ამიტომ, ექსპერტები ელოდნენ, რომ პრეტენდენტი, რომელმაც წინა მატჩში სრული კრახი განიცადა, ახლა მაინც, რევანშის მიზნით, მეტოქეს რაიმე სიურპრიზს მოუმზადებდა. ასეც მოხდა, მისი არჩევანი ალიოხინის დაცვაზე შეჩერდა.



ნონა და ელისო ვირსალაძე.

ალიოხინის დაცვა! საყურადღებოა, რომ თავად მსოფლიო ჩემპიონს, რომელმაც სახელი მისცა ამ დებიუტს, მისთვის არცთუ ხშირად მიუმართავს. ამ დასაწყისის მოყვარულებს თეთრებით მოთამაშეები დროდადრო მძიმე პრობლემებს შეუქმნიდნენ ხოლმე და ისიც ქრებოდა სატურნირო თუ სამატჩო პრაქტიკიდან. მაგრამ საჭადრაკო თეორეტიკოსებს რა დააოკებდა! ისინი ახალ-ახალ შესაძლებლობებს ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც. ძნელი სათქმელია, ვინ ურჩია პრეტენდენტს მისი გამოყენება. ალიოხინის დაცვისათვის მას ადრე არასოდეს მიუმართავს, მაგრამ ნონამ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ გრძნობდა შავების მხრიდან ამ დებიუტის გამოყენების შესაძლებლობას. ეს მეორე პარტია, მას შემდეგ, რაც გაფრინდაშვილმა ვერ გამოიყენა ყველა თავისი შესაძლებლობა, ყაიმით დამთავრდა. ერთი სიტყვით, ორი შეხვედრის შემდეგ კვლავ უცნაური და მოულოდნელი სიტუაცია იყო: პრეტენდენტი დაწინაურდა და ჯერჯერობით თავის მრისხანე მეტოქეს ტოლს არ უდებდა. ერთი დეტალიც: თუ ადრე კუშნირი ნონასთან შეხვედრებში და ყველა სხვა შეჯიბრებაშიც ხშირად განიცდიდა დროის ნაკლებობას — მისი ერთ-ერთი მთავარი მტერი ცაიტნოტიც იყო, ამჯერად, თითქოს ამ უაღრესად სახიფათო ავადმყოფობისაგან განიკურნაო, მეტოქეზე ნაკლებსაც კი ფიქრობდა, ეს კი ისევ და ისევ მეტად სერიოზულ მომზადებაზე მიგვანიშნებდა.

მომდევნო პარტიებში „სასწორი" კვლავ მერყეობდა: მესამე შეხვედრა ჩემპიონმა მოიგო და ანგარიში გათანაბრდა (1,5:1,5), მეოთხეში კვლავ პრეტენდენტმა გაიმარჯვა და მეხუთეში ანგარიში ისევ გათანაბრდა. უცნაური ის იყო, რომ თეთრი ფერის უპირატესობა, რომელიც ჭადრაკში ესოდენ მნიშვნელოვანი რამ გახლავთ, სავსებით დაიკარგა. თითქოს თეთრი ფიგურები ხელის შემშლელ ფაქტორად იქცნენ — პირველ 5 პარტიაში შავებმა ოთხჯერ (!) გაიმარჯვეს, ერთი შეხვედრა კი ყაიმით დასრულდა. ასეთი კურიოზი მსოფლიო პირველობებზე არც მანამდე ყოფილა და არც შემდეგ.



მარცხნიდან: მარკ ბერნესი, სერგეი მიხალკოვი და ნონა გაფრინდაშვილი სასტუმროს საბილიარდოში.

ბოლოს კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. არა, ნონას საბოლოო გამარჯვებაში არც მანამდე ეპარებოდა ვინმეს ეჭვი, მაგრამ არც იმის მტკიცება შეეძლო ვინმეს, რომ პრეტენდენტის მოგება მეხუთე პარტიაში... უკანასკნელი იქნებოდა! მეექვსე შეხვედრიდან მოყოლებული თამაში, პირდაპირ რომ ვთქვათ, „ცალ კარში" მიმდინარეობდა. თბილისის ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 5:3. ახლა ბრძოლა მცირე შესვენების შემდეგ მოსკოვში უნდა გაგრძელებულიყო.

„საკუთარი მინდვრის" ფაქტორი ჭადრაკში ყოველთვის დადებითად როდი მოქმედებს. ეს განსაკუთრებით ნონა გაფრინდაშვილსა და... თბილისს ეხებოდა. გასაგებია, გულშემატკივრები ჩემპიონისაგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვდნენ; ამასთან, გამარჯვებას, რა თქმა უნდა, რაც შეიძლება ეფექტურად. ვის შეუძლია მათი გამტყუნება, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ზედმეტი დაძაბულობა ნონას ხშირ შემთხვევაში ხელს უშლიდა (ეს მატჩის დასაწყისშიც გამოვლინდა) სრული ძალით ეთამაშა. ტურნირის II ნაწილში კი ამ მხრივ მას ხელს აღარაფერი შეუშლიდა.

მოსკოვში ამ დროს ტიგრან პეტროსიანისა და ბორის სპასკის მატჩი მიმდინარეობდა მსოფლიო პირველობაზე, მაგრამ, ცხადია, არც გაფრინდაშვილ-კუშნირის შეხვედრას აკლდა მაყურებელი. ხანდახან ქალთა ჭადრაკის საყურებლად ვაჟების მსაჯები ალბერიკ ო' კელი (ბელგია) და მიროსლავ ფილიპიც (ჩეხოსლოვაკია) მოდიოდნენ.

ცნობილ იუგოსლაველ ჟურნალისტს დიმიტრიე ბელიცას უამრავი სამუშაო ჰქონდა. პეტროსიან-სპასკის მატჩს ხომ აშუქებდა და აშუქებდა, და არა მარტო იუგოსლავურ პრესაში, არამედ სხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებშიც. ეს ის ბელიცაა, რომელსაც მეოთხედი საუკუნის მანძილზე არც ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება არ გამოუტოვებია მთელ მსოფლიოში, ყველას ესწრება და წიგნებს უძღვნის! ხომ გახსოვთ, შარშან რომის პაპ იოანე-პავლე II-ეს, ჭადრაკის მოყვარულსა და მცოდნეს (პაპი საჭადრაკო ამოცანებსაც ადგენს), თავისი 30 წიგნი აჩუქა. ბელიცამ მითხრა, რომ გაფრინდაშვილისა და კუშნირის მატჩს იუგოსლავიაში ძალიან აინტერესებდათ, რადგან ისინი არ კარგავდნენ იმედს, რომ ერთ-ერთ მატჩს მსოფლიო პირველობაზე მილუნკა ლაზარევიჩიც ითამაშებდა. თუმცა, ეს იმედი, შემდეგში არ გამართლდა.

ერთხელ ბელიცა მატჩზე დასასწრებად მოვიდა, რამდენიმე კითხვა მომცა და (შეიძლება, ჰონორარის სახით!) მშვენიერი წიგნი მაჩუქა, ცხადია, სათანადო წარწერით. წიგნს ჰქვია „ველემაისტორი იზბლიზა" („ახლოს დანახული დიდოსტატები"). ავტორმა თქვა: „ამ წიგნს ერთი ნაკლი აქვს, ქალებზე არ არის ლაპარაკი, შემდეგ გამოცემებში აუცილებლად დავამატებთ". ეს დაპირება ბელიცამ შეასრულა კიდეც.

4 მაისს მოსკოვში განახლებული თამაში, უკვე 15 მაისს, ფაქტობრივად, დასრულდა, ამ დღეს ნონამ მეთორმეტე პარტია მოიგო, 8 ქულა მოაგროვა და მსოფლიო ჩემპიონობა მომდევნო სამი წლით შეინარჩუნა. მეცამეტე პარტიას (18 მაისს) უკვე აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. აქ საკმაოდ სწრაფი ყაიმი აღინიშნა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც — 8,5:4,5 — ზუსტად ისეთივე იყო, როგორც ამავე მეტოქეების წინა ორთაბრძოლაში. არსებითი განსხვავება ამ მეორე მატჩის შემდეგ — თუ ჩემპიონი ჩემპიონად დარჩებოდა, კუშნირი უკვე აღარ იქნებოდა პრეტენდენტი. თუ ძალა ერჩოდა, ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: გაფრინდაშვილისა და კუშნირის საერთო ანგარიში, ყველა ტურნირისა და მატჩის ჩათვლით გახდა 25:14 ჩემპიონის სასარგებლოდ. ეს საკმაოდ დამაჯერებელი უპირატესობა იყო.

მატჩის დამთავრების შემდეგ, საინტერესო პრეს-კონფერენცია გაიმართა. ჩემპიონს უამრავი შეკითხვა მისცეს, მაგრამ ჟურნალისტებს ყველაზე მეტად ერთი რამ აინტერესებდათ — რას ფიქრობდა ნონა, ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო შემდეგი პრეტენდენტი! ნონამ მაღალი შეფასება მისცა 20 წლის ნანა ალექსანდრიას თამაშს, არც მრავალნაცადი ტატიანა ზატულოვსკაია დაივიწყა და თან დასძინა, რომ კუშნირიც, მსოფლიო პირველობის ორი მატჩის მონაწილე, სულ უკეთ და უკეთ თამაშობდა, ხვეწდა ოსტატობას. შეიძლებოდა იგი, უკვე მესამედ გამხდარიყო პრეტენდენტი? — რა თქმა უნდა, შეიძლებოდა.

**ბივი ბამრეკელი**

ფოტოები „ლელოს" არქივიდან.



### „უცნაური" წყვილი გლოჩესტერის ტყის სიახლოვეს...

**ინგლისი.** თუ გაისეირნებთ გლოჩესტერის ტყის მიდამოებში, აუცილებლად შეხვდებით აკრობატ ენდრიუ უოტსონსა და მის პარტნიორ ჟაკლინს, რომლებიც შეუპოვრად ამუშავებენ ტანვარჯიშულ კომბინაციებს ტრაპეციაზე. საქმე ისაა, რომ ამ ახალგაზრდებს ცირკში გამოსვლის საშუალება არ მისცეს: ადგილობრივ ხელმძღვანელობას, უბრალოდ, არ მოეწონა მათი „ეშმაკისეული ნომერი". ამის მიუხედავად, აკრობატები მაინც იმედოვნებენ, რომ როდესმე მაინც მიიპყრობენ ყურადღებას და ამის მოლოდინში ისინი სპორტული ფორმის შენარჩუნებას განაგრძობენ.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

### ფინალისტები გამოვლინდნენ

**24 აპრილს** გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრები. სამივე ტურნირში გამოვლინდნენ ფინალისტები.

**ჩემპიონთა თასი**

**„მარსელი" (საფრანგეთი)** — „სპარტაკი" (მოსკოვი) 2:1 (პირველი მატჩი 3:1).

**„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია)** — „ბაიერნი" (გერმანია) 2:2 (2:1).

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „მარსელი" და „ცრვენა ზვეზდა". მატჩი 29 მაისს გაიმართება იტალიის ქალაქ ბარიში.

**თასების მფლობელთა თასი**

**„მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი)** — „ლეგია" (პოლონეთი) 1:1 (3:1).

„იუვენტუსი" (იტალია) — **„ბარსელონა" (ესპანეთი)** 1:0 (1:3).

ფინალი: „მანჩესტერ იუნაიტედი"-„ბარსელონა". 15 მაისი. როტერდამი.

**უეფა-ს თასი**

**„რომა" (იტალია)** — „ბრონდბიუ" (დანია) 2:1 (0:0).

**„ინტერი" (იტალია)** — „სპორტინგი" (პორტუგალია) 2:0 (0:0).

ფინალი: „ინტერი"-„რომა". 8 მაისს მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან მილანში, 22 მაისს — რომში.

### მარადონა: სპორტული კარიერის დასასრული?

იტალიის ფეხბურთის ფედერალურმა სააპელაციო კომისიამ არ დააკმაყოფილა დიეგო მარადონას თხოვნა მისი დისკვალიფიკაციის ვადის შემცირების თაობაზე. რომში გამართული უმაღლესი საფეხბურთო ტრიბუნალის სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი ვალდებულია სასჯელი მოიხადოს ბოლომდე 1992 წლის ივნისამდე.

30 წლის დიეგო მარადონა ამას წინათ, გამოვიდა არგენტინის ტელევიზიით და განაცხადა, რომ მისი სპორტული კარიერა დამთავრებულია რომ მას კარგა ხანია, გადაწყვეტილი ჰქონდა, თავი დაენებებინა ფეხბურთისათვის. ყოველ შემთხვევაში, იტალიაში თამაშს იგი აღარ აპირებს.

### ახალი ფორმულით

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასკომმა თავის ამასწინანდელ სხდომაზე ლონდონში ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ახალი წესის მიხედვით, სულ სხვაგვარად ჩატარდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება. პირველ ორ ეტაპზე (მეთექვსმეტედფინალი და მერვედფინალი) შეჯიბრება გაიმართება ადრინდელი სისტემით — ორ-ორი შეხვედრა მეტოქეთა შორის, მაგრამ შემდეგ მეოთხედფინალის მონაწილე 8 გუნდი დაიყოფა 2 ჯგუფად, 4-4 გუნდი თითოეულში, სადაც მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან წრიული სისტემით, ამ ორი კვარტეტის გამარჯვებულები კი ერთმანეთთან ითამაშებენ გადამწყვეტ, ფინალურ მატჩში. თუ შეჯიბრების ამ ეტაპზე ერთი ჯგუფის წარმომადგენელ გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნათ, უპირატესობა მიენიჭება იმ კლუბს, რომელსაც მეტი ბურთი ექნება გატანილი მეტოქის მინდორზე.

რაც შეეხება თასების მფლობელთა თასს და უეფა-ს თასს, აქ გათამაშებათა ფორმულა ჯერჯერობით უცვლელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე ოლიმპიადები— პირველიდან ოცდამეხუთემდე

## რიგგარეშე და რიგით მეოთხე

1906 წელს მსოფლიოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების 10 წლისთავი. ამ საზეიმო თარიღთან დაკავშირებით, ათენში რიგგარეშე, საიუბილეო ოლიმპიადის ჩატარება გადაწყდა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბერძნების ამ წინადადებას იმიტომ დაუჭირა მხარი, რომ აშკარად უკმაყოფილო იყო სენტ-ლუისის თამაშებში მონაწილე ქვეყნების სიმცირით და ერთგვარი რეაბილიტაცია სურდა ევროპელთა თვალში.

საიუბილეო ოლიმპიადამ ყოველმხრივ გაამართლა იმედები — მასში მონაწილეობა მიიღო 22 ქვეყნის 901-მა სპორტსმენმა. შედარებისთვის შეგახსენებთ, რომ 1904 წელს სენტ-ლუისში გამოდიოდა 12 ქვეყნის 625 სპორტსმენი. უფრო მრავალფეროვანი გახდა პროგრამაც, განსაკუთრებით მძლეოსანთა შეჯიბრებისა. 20 დღის მანძილზე ათენში (2-22 მაისი) ბევრი უმაღლესი კლასის შედეგი გაუმჯობესდა. ყველაფერმა ამან ოლიმპიურ თამაშებს დაუბრუნა პოპულარობა, რომელიც აშკარად შეარყია წინა საბედისწერო თამაშებმა.

IV რიგითი ოლიმპიადა მოეწყო საიუბილეო ოლიმპიადიდან ორი წლის შემდეგ, 1908 წლის 27 აპრილ-31 ოქტომბერს ლონდონში. თამაშებში მონაწილეობის სურვილი თავდაპირველად 26 ქვეყანამ გამოთქვა, მაგრამ ინგლისის დედაქალაქს საბოლოოდ 22 ქვეყნის 2034 სპორტსმენი ეწვია. ორივე ეს მაჩვენებელი სარეკორდო გახლდათ. მეტსაც ვიტყვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროგრამის ამა თუ იმ სახეობაში მონაწილეთა რაოდენობაც. ასე მაგალითად, 100 მეტრზე მორბენალ ვაჟთა სტარტზე 16 ქვეყნის 57 სპრინტერი გამოვიდა. დაშნით ფარიკაობაში ოქროს მედლისთვის 85 კაცი იბრძოდა, ესპადრონისტთა ტურნირში კი — 76. თამაშების პროგრამაში ექსპერიმენტის სახით შეტანილი იყო ვაჟთა და ქალთა შეჯიბრება ციგურებით ფიგურულ სრიალში.

თამაშების პროცესში ბევრი მოულოდნელი, ლოგიკის საწინააღმდეგო შედეგი დაფიქსირდა. მაგალითად, ყველა სპეციალისტი დარწმუნებული იყო, რომ 100 მეტრზე რბენას რომელიმე ამერიკელი სპრინტერი მოიგებდა, მაგრამ ფინალურ გარბენში გაიმარჯვა 18 წლის სამხრეთაფრიკელმა რ. უოკერმა, რომელმაც, ამასთან, მსოფლიო რეკორდი (10,8) გაიმეორა. ასევე მოულოდნელი იყო 200 მეტრზე კანადელი რ. კერის, 400 მეტრზე კი ინგლისელი უ. ჰილსუელის წარმატება.

IV ოლიმპიადის მარათონი მსოფლიო სპორტის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დრამატული სპორტული შეჯიბრება. ტრასა გადიოდა ვინძორის სამეფო სასახლიდან ლონდონის „უაიტ-სიტის" სტადიონამდე. სხვათა შორის, ეს დიდებული სპორტული კომპლექსი ინგლისელებმა ორ წელიწადში ააშენეს (სპეციალურად ოლიმპიადისთვის). სტადიონის ტერიტორიაზე პირველი შემოიჭრა იტალიელი დორანდო პიეტრი, რომელმაც რბენა საწინააღმდეგო მიმართულებით განაგრძო და მსაჯებმა დიდი გაჭირვებით დააყენეს იგი სწორ გზაზე. ფინიშამდე 100 მეტრით ადრე პიეტრის საბოლოოდ გამოეცალა ძალა, გული წაუვიდა, და ზედ სარბენ ბილიკზე დაეცა. ამ ტრაგიკული სიტუაციით გულაჩუყებული ორი მაყურებელი გადმოხტა ტრიბუნიდან, ამოუდგა მხრებში გულწასულს და სამეულმა კოლექტიურად გადაკვეთა ფინიშის ხაზი. იტალიელის შედეგი, ცხადია, გააუქმეს და გამარჯვება ამერიკელ ჯონ ჰეისს მიაკუთვნეს, რომელიც პიეტრის მთელი ნახევარი კილომეტრით ჩამორჩა. ამ ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული გახლდათ ამბავი, რომელიც მარათონის დამთავრების შემდეგ გაირკვა. თურმე ტრასა არ იყო სწორად გაზომილი და მარათონელებმა 42 კილომეტრისა და 195 მეტრის ნაცვლად, 600 მეტრით მეტი ირბინეს. ასე რომ, პიეტრიმ, ფაქტობრივად, დისტანციის დამთავრების შემდეგ დაკარგა გონება. ამ უსამართლობაზე მაშინ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ მსაჯთა გადაწყვეტილება არავის შეუცვლია.



იტალიელი მარათონელის დორანდო პიეტრის ტრაგიკული ფინიში.

IV ოლიმპიადის შედეგებზე საუბრისას, განსაკუთრებით სამ შედეგს გამოვჰყოფენ: ხტომას სიგრძეზე: ფ. აირონსი (აშშ) — 7,48 მ; სამხტომს: ტ. ეჰერნი (ინგლისი) — 14,76 მ. და ბირთვის კვრას: რ. როუზი (აშშ) — 14,21 მ.

ლონდონის ოლიმპიადაზე პირველად შემოიღეს ქულების აღრიცხვა და მას არაოფიციალური გუნდური ჩათვლა უწოდეს. აქ ყველას ოლიმპიადის მასპინძლებმა — ინგლისელებმა აჯობეს, რომლებსაც, ამავე დროს, ყველაზე მრავალრიცხოვანი, 709 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია ჰყავდათ.

აი, როგორ განაწილდა მედლები პირველ ექვსეულში:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| **დიდი ბრიტანეთი** | 57 | 50 | 40 |
| **აშშ** | 23 | 12 | 12 |
| **შვეცია** | 8 | 6 | 11 |
| **საფრანგეთი** | 5 | 5 | 9 |
| **გერმანია** | 3 | 5 | 4 |
| **კანადა** | 3 | 3 | 7 |





„უაიტ-სიტის" სტადიონი, რომელიც ორ წელიწადში სპეციალურად ოლიმპიადისთვის აშენდა; ამერიკელმა მძლეოსანმა რეი-იურიმ, რომელსაც თანამედროვენი „რეზინის ადამიანს" უწოდებდნენ, სამ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და ადგილიდან სიმაღლეზე, სიგრძეზე ხტომაში და სამხტომში რვა ოქროს მედალი დაისაკუთრა.

# დაბრუნდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა?

**ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები, ალბათ, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ასპარეზობა. სხვა თუ არაფერი, ბოლო ოთხი ოლიმპიადა ბოიკოტების გარეშე არ ჩატარებულა.**

1976 წელს მონრეალში მონაწილეობაზე უარი განაცხადა აფრიკული ქვეყნების უმრავლესობამ. ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ოლიმპიადაში მრავლად გამოდიოდნენ იმ ქვეყნების სპორტსმენები, რომელთაც სახელი ჰქონდათ გატეხილი რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან (სარ-თან) ურთიერთობებით. საბჭოთა არმიის ავღანეთში შეჭრის მიმართ პროტესტის ნიშნად 1980 წელს მოსკოვში არ ჩამოვიდნენ აშშ-ის, გფრ-ის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. სამაგიეროს გადახდის მიზნით ლოს-ანჯელესში გამართულ მომდევნო ოლიმპიადაზე ყოფილი სოცბანაკი (რუმინეთის გარდა) „აუჯანყდა" ოლიმპიურ ასპარეზობას. მერე რა საოცრად უსუსური გახლდათ თავის მართლება — ვითომდა, საფრთხე ემუქრება ჩვენი სპორტსმენების სიცოცხლესო... არადა, იმხანად, აშშ-ში გამართულ ამხანაგურ და სხვა არაოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე „საბჭოთა კავშირი და კომპანია", უარს არასოდეს ამბობდა. გავიხსენოთ, თუნდაც ჰოკეისტთა, კალათბურთელთა და მძლეოსანთა სხვადასხვა ტურნირები. თითქოსდა უბოიკოტოდ ჩატარდა სეულის ოლიმპიური თამაშები, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბისა და ეთიოპიის სპორტსმენები, რომლებსაც ამ თამაშებში არ მიუღიათ მონაწილეობა. ისინი ფაქტის ახსნას არაპოლიტიკური მოტივებით ცდილობდნენ, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ესეც უნუგეშო თავის მართლებაა.

„სპორტი — პოლიტიკის გარეშე" — ეს მოწოდება დიდი ხანია მოძველდა. სპორტი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, არც შეიძლება არსებობდეს პოლიტიკის გარეშე და ბარსელონის მომავალი ოლიმპიური თამაშები, უეჭველია, ამას კიდევ ერთხელ დაადასტურებს.

1960 და 1964 წლების რომისა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა ხელოვნურად გაერთიანებულმა გერმანიის ნაკრებმა, რადგან სოკ-ი მაშინ ჯერ კიდევ არ სცნობდა გდრ-ის დამოუკიდებლობას. ახლა ესპანეთში კვლავ ვიხილავთ გაერთიანებული გერმანიის გუნდს, რასაც უნდა ვუმადლოდეთ ბერლინის კედლის ნგრევას. თუმცა, ეს ერთადერთი მოვლენა როდი გახლავთ, რომელმაც შესაძლოა, არსებითი გავლენა იქონიოს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაზე.

ოლიმპიურ თამაშებში ათწლეულების მანძილზე სარ-ის სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. აპარტეიდის პოლიტიკამ ამ ქვეყნის წინააღმდეგ აამხედრა არა მხოლოდ სოკ-ის წევრები, არამედ სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა უმრავლესობა. მაგრამ დრო სწრაფმავალია, სარ-ის პრეზიდენტი ფრედრიკ და კლერკი ისეთ რეფორმებს ატარებს, რომელთაც, რასისტული დისკრიმინაციის გაუქმება უდევთ საფუძვლად.

სავსებით ბუნებრივია, რომ ეს რეფორმები, რომლებიც, ცხადია, სპორტულ ცხოვრებასაც ეხება, შეუმჩნეველი არც სოკ-ს დარჩენია.

სულ ახლახან, სარ-ს ეწვია სოკ-ის საინსპექციო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მისი ვიცე-პრეზიდენტი, სენეგალელი კება მბაიე. შეგახსენებთ, რომ ასეთი კომისია სარ-ს ეწვია 1967 წელსაც. მაგრამ, თუ მაშინ იგი მომხრე იყო სპორტული სამყაროსაგან სარ-ის იზოლაციისა, ახლა, კომისიის წევრებმა საპირისპირო დაასკვნეს — სარ-თან „საქმის დაჭერა" შეიძლება! უფრო მეტიც, იქ შეიქმნა დროებითი ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც იბრძვის სარ-ის მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში დასაბრუნებლად, არცთუ ისე უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ სარ-ის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა სემ რამსამი, ქვეყნის არარასისტული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. იგი დიდხანს ცხოვრობდა ლონდონში, დაუღალავად იბრძოდა სარ-ის იზოლაციისათვის, სანამ იქ აპარტეიდი ბატონობდა. პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის შემდეგ, სემი სამშობლოში დაბრუნდა, მხარი დაუჭირა დე კლერკის რეფორმებს და ახლა თავგამოდებით იღვწის სარ-ის „ოლიმპიური რეაბილიტაციისთვის". თუ ეს განხორციელდა (რასაც მხარს უჭერს აფრიკული ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების უმრავლესობა), მაშინ სოკ-ი შემდგომში დაზღვეული იქნება აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელთა ბოიკოტისგან.

წმინდა სპორტული თვალსაზრისით, სარ-ის დაბრუნებამ ოლიმპიურ თამაშებში შესაძლოა სპორტის ზოგიერთ სახეობაში ღირებულებათა გადაფასება გამოიწვიოს. ყველას ახსოვს არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი ისტორია, რომელიც ნიჭიერ სამხრეთაფრიკელ მორბენალს ზოლა ბადს გადახდა — მან დატოვა სამშობლო და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომობა მიიღო, რათა მისცემოდა შესაძლებლობა, გამოსულიყო საერთაშორისო შეჯიბრებებში. ერთ დროს, ეს სპორტსმენი ქალი მსოფლიო რეკორდსმენიც კი გახლდათ საშუალო დისტანციაზე რბენაში. მაგრამ ამის შანსი მხოლოდ ერთეულებს ეძლეოდათ. ოლიმპიური თამაშების ისტორია გვიდასტურებს, რომ სარ-ის სპორტსმენები ოლიმპიადებიდან უმედლოდ არასდროს ბრუნდებოდნენ — ჯერ კიდევ 1908 წელს ლონდონში ჩემპიონი გახდა სპრინტერი რ. უოკერი, შემდეგ ოლიმპიადაზე კი სტოკჰოლმში მარათონულ სირბილში კ. მაკართურმა გაიმარჯვა. 1920 წლიდან 1948 წლამდე ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ექვსმა სამხრეთაფრიკელმა მოკრივემ და ორმა მძლეოსანმა.

1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე, სადაც საბჭოთა სპორტსმენებიც გამოდიოდნენ, სარ-ის სპორტსმენმა ქალებმაც ისახელეს თავი — ე. ბრანდტმა გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში, ხოლო ჯ. ჰარისონმა 100 მ. დისტანციაზე გულაღმა ცურვაში.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მრავალწლიან იზოლაციას გავლენა არ მოეხდინა სპორტსმენთა შედეგებზე, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, სამხრეთ აფრიკაში ახლაც კვლავ არიან ვარსკვლავები, რომელთაც ძალუძთ იბრძოლონ ოლიმპიური მედლებისთვის კრივში, მძლეოსნობასა და ჩოგბურთში.

სხვათა შორის, ზოლა ბადმა უკვე დაიბრუნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეობა და ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.

გამოვლენ თუ არა ბადი და მისი თანამემამულენი XXV ოლიმპიურ თამაშებში, ამას სოკ-ი გადაწყვეტს ლოზანაში გამართულ სესიაზე. ჯერჯერობით კი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პირობითად ექვსი თვით ცნო სარ-ის დროებითი ოლიმპიური კომიტეტი, რომელსაც გარკვეული მოთხოვნებიც წაუყენა. ეს მოთხოვნები 180 დღეში უნდა განხორციელდეს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაჰპირდა კიდეც სოკ-ს, ამ მოთხოვნების შესრულებას.

შავკანიანი მოსახლეობის ცნობილმა ლიდერმა ნელსონ მანდელამ განაცხადა, რომ, იგი მხარს უჭერს მთავრობის მიერ წამოწყებულ რეფორმებს და ყველაფერს ილონებს იმისათვის, რომ სარ-ის საერთაშორისო სპორტული იზოლაცია რაც შეიძლება მალე დასრულდეს. მანდელამ დასძინა, რომ იგი ლოზანაშიც გაემგზავრება და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინასაც ესტუმრება.

**ზურაბ ტაბატაძე**




**სურათზე თქვენ ხედავთ სამხრეთაფრიკელ მორბენალ ზოლა ბადს, ექსრეკორდსმენს ათას ხუთას მეტრზე რბენაში. იმ დროს, როდესაც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" მხოლოდ ახლა გვთავაზობს წინადადებას, სპორტსმენთა სახელები უკვდავვყოთ სიცოცხლეშივე, 22 წლის ზოლას სახელი (რომელიც ადრე დიდი ბრიტანეთის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა) იოჰანესბურგის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა.**

# მესხი! მესხი! მესხი!

## ჩვენი მეგობარი, ჩვენი პარტნიორი

**დრო** საოცრად სწრაფად გარბის! თითქოს გუშინ იყო, მიშა მესხი რომ ჩვენს გვერდით იდგა, ხარობდა, ხალისით ცხოვრობდა: ბურთი, მეგობრები, გულშემატკივრები მისი ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტები იყვნენ. მიშას თავდავიწყებით უყვარდა ფეხბურთი, მაყურებლებით სავსე ტრიბუნები; უყვარდა ჩვენთან ყოფნა, ჩვენთან ტრიალი. თითოეული საწვრთნელი ვარჯიში მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, წვრთნა მისთვის არ იყო მომაბეზრებელი, მომქანცველი პროცესი, იგი მზად იყო მუდამ პარტნიორობა გაეწია ყოველი ჩვენგანისთვის. ხასიათით ამაყი და ჯიქური გახლდათ, ამავე დროს, მზად იყო თავი დაედო მეგობრისთვის.

თითქმის მთელი ცხოვრება ერთ დიდ მიზანს — ფეხბურთს ემსახურებოდა. ერთად ვცხოვრობდით, ერთად ვმოგზაურობდით, მაგრამ მიშას ჩვენს გარდაც ჰყავდა ახლო მეგობრები. მას ძალიან უყვარდა „ხელოვნების ხალხი“ — მხატვრები, მოქანდაკეები, პოეტები, მწერლები, მომღერლები; უყვარდა ხალისიანი, ნიჭიერი პიროვნებები, უყვარდა გამოჩენილ ადამიანებთან ურთიერთობა. ვინ მოთვლის, რამდენი სიამოვნება გვიგრძნია ერთად, რამდენჯერ ხალისიანად გაგვიტარებია დრო და, აი, ეს სიცოცხლით, ჯან-ღონით სავსე, კერკეტი კაცი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ხელიდან გამოგვეცალა. უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, დამწუხრებულნი ვემშვიდობებით საყვარელ მეგობარს, განუმეორებელ ფეხბურთელსა და ვაჟკაცს მიშა მესხს!

**1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ მწვრთნელები: გ. კაჩალინი, ა. კოტრიკაძე; ფეხბურთელები: — ს. კოტრიკაძე, გ. სიჭინავა, ჯ. ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, ვ. ბარქაია, ს. მეტრეველი, ი. დათუნაშვილი, გ. პეტრიაშვილი.**

**მესხი! მესხი მესხი!** ქუხდა სტადიონები. მესხი! მესხი! მესხი! შორეული არგენტინა, საფრანგეთი. მესხი! მესხი! მესხი! ისმოდა ყველგან და ამ შეძახილს ჰყვებოდა გულისცემა. ბაგაბუგი გაჰქონდა გულს. მესხი! მესხი! მესხი!

ვის მიუნიჭებია ამდენი სიხარული და ბედნიერება მაყურებლისათვის? არავინ ყოფილა ასე ზეაღმტაცი, ასე აღმაფრთოვანებელი მოედანზე, როგორც თბილისელი გარემარბი. დღეს, როცა მსოფლიო ფეხბურთს ვადევნებთ თვალს, ამაოდ დავეძებთ მიხეილ მესხის მსგავსს. არავინ გაჰყვირის სკანდირებით რომელიმე ფეხბურთელის გვარს. მიხეილ მესხზე კი უცხოეთის სტადიონები ალტაცებული გაიძახოდნენ: მესხი! მესხი! მესხი! ეს არავის ღირსებაა, იმიტომ, რომ არავინ იყო მისი მსგავსი. განუმეორებელი მიშა!

რა იყო ის იდუმალი ძალა, მიხეილ მესხს რომ მოსავდა?

პირველად რომ ვნახე, უმალ ვიგრძენი, ფეხბურთისთვის იყო დაბადებული. ქართველს არ ჰგავდა, უფრო — ევროპელს, ქერა გერმანელს. შემეშინდა, უცხო ტომისა არ იყოს-მეთქი. ფრთხილად შევეკითხე ჩემს წინ ჩამომსხდარ პატარა ბიჭებს, თერთმეტი ნომერი რა გვარია-მეთქი. მიშა? — გაიცინეს ბიჭებმა, — მესხი! იყო პასუხი, და გულში გავიხარე.

გვარიც შეჰფეროდა მის სპორტულ აღნაგობას, შეკრული, სწრაფი, მოსხეპილი. მესხი. მიშა მესხი.

ქუჩაში მოთამაშე ბიჭუნა, გამვლელები რომ ველარ აშორებდნენ თვალს. შემდეგ სათადარიგო შემადგენლობაში გამოჰყავდათ. მთელი სტადიონი რომ შეივსებოდა, მის სანახავად მოსული ხალხი, პირველი ტაიმის შემდეგ იმ მხარეს გადაინაცვლებდა, საითაც მესხი უტევდა. ვიდრე სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი გახდებოდა, მას უკვე ჰქონდა ის საიდუმლო ძალა, რომელიც შემდგომ სტადიონებს აქუხებდა.

ამ წარბშეკრულ ბიჭს მტკიცედ გადაეწყვიტა დიდი ფეხბურთელი გამხდარიყო. ჩვენ ყველანი მის ვარჯიშს ვესწრებოდით. ვარჯიშის შემდეგ მოედანზე მარტო რჩებოდა ბურთთან ერთად. სიყვარულით შევცქეროდით, აღფრთოვანებას ვერ ვმალავდით, ის კი არც გვამჩნევდა, თავისი საქმით იყო დაკავებული. მოათავებდა ვარჯიშს, კუშტად გამოგვხედავდა შორიდან, ხელის აწევით უსიტყვოდ დაგვემშვიდობებოდა, დასაძინებლად გასწევდა. ჩვენ კი გულდაწყვეტილები გავაყოლებდით თვალს, ოდნავ ნაწყენები. გვინდოდა სულ ჩვენთან ყოფილიყო ჩვენი მიშა, ჩვენი იმედი, ჩვენი სიხარული და სიამაყე. იმ ღატაკ დროში, როცა გადაწურული იყო ყოველგვარი იმედი, ერთფეროვნება ახშობდა სულს, იმ დროში, როცა სამხატვრო გალერეებში იფინებოდა შაბლონური ხელოვნება, კინოთეატრებში არ შეისვლებოდა, უნიჭობის, საშუალოობის, ნიველირების უფერულ დროში, ჭეშმარიტი ხელოვნება იყო მესხის თამაში. ეს იყო ერთადერთი კაცი, ვინც სიხარულს ჰგვრიდა ადამიანებს.

როგორც ყველა ტალანტს, მიხეილსაც არ ჰქონია ია-ვარდით მოფენილი გზა. დიდხანს იჯდა სათადარიგო სკამზე და თვალს ადევნებდა ჩვენი გუნდის ზედიზედ დამარცხებას. მესხი! მესხი! მესხი! — მოითხოვდა მაყურებელი. მაშინ მივაკითხე „ნიანგის“ რედაქციას და დავბეჭდე კარიკატურა: ყველა ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი მწნილის უზარმაზარ კასრში მოვათავსე და მწვრთნელი კი ახალ თაობას ამარილებდა — კასრიდან ამოყოფილ თავებზე მარილს აყრიდა. ფეხბურთელებმა ბევრი იცინეს, მიხეილმა ქვემოდან ამომხედა, თავისი ბასრი მზერით მომაჩერდა და მითხრა: „მწვრთნელმა ჩვენზე კარგად იცის, ალბათ ასეა საჭირო“.

სულ მალე მიხეილ მესხი მოედანზე ვიხილეთ, მეგობრებმა ჩემს ნახატს მიაწერეს ეს ამბავი. ვიცინოდით, მაგრამ გულში მიშას მკაცრი შენიშვნა მახსოვდა. მალე იგი ჩვენი საამაყო კერპი გახდა, ყველას უნდოდა მისი გაცნობა. მესხმა დაიპყრო სუყველა. ყველას მესხის სახელი ეკერა პირზე. მესხი, მესხი, — ჩურჩულებდნენ, როცა ქუჩაში თვალს მოჰკრავდნენ. ამ პატარა, დინჯ ბიჭს უკან დასდევდნენ მსახიობები, ოპერის მომღერლები, პოეტები, მწერლები, თაყვანისმცემლები, მაგრამ მესხის სიყვარულში მხატვრებმა ყველას გადააჭარბეს. იმიტომ, რომ სილამაზეს პოვებდნენ მის თამაშში. ასე ლამაზად არავინ იყო ბურთთან; მიშა ჩვენთვის მარტო ფეხბურთელი კი არ იყო, ლამაზად მოთამაშე, არამედ ომის მოგები. იმჟამად მატჩის მოგება მოსკოვის გუნდებთან ომში გამარჯვებას უდრიდა.

მოსკოვში ადგილობრივ „სპარტაკთან“ შეხვედრისას თბილისელები ჯარიმას ურტყამდნენ. მესხი მივიდა ბურთთან, წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ვიღაცამ დაიღრიალა: „მიშა, ბეი ლავროვი ლისტ“! მესხი სწორედ იმ წამს ბურთს ასწორებდა და ამ სიშორეზე დავინახე, როგორ იელვა მისმა თვალებმა სიბრაზით. მერე გასწორდა, წამით ჩვენს მხარეს ბასრი მზერით მელივით გამოიხედა, სწრაფად გაქანდა და მომესმა: „ახ შენი“! თვალებდაბინდულმა დავინახე, როგორ ჩაიქნია ხელი მეკარემ და საკუთარი კარიდან გამოიტანა ბურთი. მიშას ჩვენს მხარეს აღარ გამოუხედავს. „თქვენი შეკვეთა უმალვე შეგისრულათო მიშამ“, — შენიშნა ვიღაცამ იმ კაცს გესლიანად, მიშას ხმამაღლა რომ დასცინოდა, მაგრამ მას უკვე აღარაფერი ესმოდა, ოსტატური დარტყმით აღტაცებული, ხმამაღლა ღრიალებდა: მესხი! მესხი! მესხი!“

...იმ დროს, როცა არ ვიცოდით და მხოლოდ ყურმოკვრით თუ გაგვეგონა ბრაზილიურ ფეხბურთზე, არგენტინელებზე, თურმე თბილისში გვყოლია თანამედროვე კლასის უდიდესი ოსტატი, მაგრამ იგი აიძულეს დაეტოვებინა ფეხბურთი. სწორედ იმ წელს ურუგვაელები ესტუმრნენ თბილისს. თამაშის შემდეგ აღტაცებულმა ურუგვაელთა მწვრთნელმა შეიხსნა ოქროს სამაჯური და მიხეილ მესხს უძღვნა, ხოლო, როცა შეიტყვეს, რომ ეს მატჩი უკანასკნელი იყო და მესხი სამუდამოდ ემშვიდობებოდა ფეხბურთს, ურუგვაელებმა სრული სერიოზულობით დაიწყეს თხოვნა, ჩვენ მოგვეცით, ჩვენ წავიყვანთ მესხსო და თან დიდ თანხას ჰპირდებოდნენ.

მესხმა დატოვა მოედანი. არასოდეს დამავიწყდება იმ დღეს მეგობრების მხრებზე შემოსმული მიშას სახე. ყველა, ვინც კი მის გაფითრებულ, გაქვავებულ სახეს ხედავდა. კანკალს აეტანა. ყველა ცახცახებდა. ყველა ტიროდა. იმიტომ რომ მიშაც ტიროდა.

დღეს მიხეილ მესხი აღარ არის. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ მრავალი ადამიანის გული შეძრა, სინანულით აავსო. ძნელია და დაუჯერებელი, როცა სიცოცხლით სავსე ჭაბუკს შეჰყურებ მოედანზე, უმცროსი მეგობარი გიყვარს შეილივით, ძმასავით, და უეცრად გესმის, რომ იგი, ვინც ბედნიერებას გვანიჭებდა შეუდარებელი თამაშით, აღარ არის! ნაადრევად დატოვა ფეხბურთი. ნაადრევად დატოვა ცხოვრება.

დაცლილი, უკაცრიელი სტადიონიდან მოისმის შორეული ექო: მესხი! მესხი! მესხი!

გემშვიდობებით, ჩვენო საყვარელო მიშა.

**ელგუჯა ბერძენიშვილი**

---

საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი

**მიხეილ მესხი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი

**მიხეილ მესხი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

„დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის საფეხბურთო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი

**მიხეილ მესხი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

პროფესიული საფეხბურთო კლუბ „შევარდენი-1906“-ის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის

**მიხეილ მესხის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბ „გურიის“ ფეხბურთელები და რაიონის სპორტული საზოგადოებრიობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის

**მიხეილ მესხის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და სპორტული საზოგადოება „მართვეს“ რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, ბავშვთა-მოზარდთა ფეხბურთის სპეციალიზებული, ოლიმპიური რეზერვის სასპორტო სკოლის დირექტორი

**მიხეილ მესხი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

# ის ყოველთვის ჩვენთან იქნება

**უეჭველია,** მთელი საქართველო შეძრა თავისი უსაყვარლესი კაცის, მიშა მესხის უდროო გარდაცვალებამ. ის, ვინც მას იცნობდა, გაიხსენებს არაერთ ეპიზოდს მისი ვაჟკაცობის შესახებ, რადგან მიშა ჯერ დიდი პიროვნება იყო, ნაღდი კაცური კაცი და, მხოლოდ შემდეგ უდიდესი ფეხბურთელი.

როდესაც თბილისის „დინამოში“ მიწვევდნენ, რა თქმა უნდა, ვორჭოფობდი, რადგან, მაშინდელ გუნდში კაშკაშებდნენ ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები და უპირველესად, მესხი. ენდომებოდა „ვარსკვლავთა ამ კრებულს“ თავის რიგებში მიეღო კაცი, რომელსაც არ სურდა მეორეხარისხოვანი ადგილი დაეკავებინა გუნდში? ჩემი ეჭვები მიშამ გაფანტა: „თუ ვინმეს არ უნდა უნდოდეს შენი თბილისში გადმოსვლა, — მითხრა მან, — პირველი მე უნდა ვიყო, ახლა გულშემატკივართათვის კერპი მე ვარ, რად მინდა კონკურენტი? მაგრამ გირჩევ, გადმოდი და ვიქნებით ძმები, რადგან შენი გადმოსვლა არა მარტო გუნდსა და საქართველოს, შენც გჭირდება. აი, ნახავ, თბილისში შენ იქცევი იმად, რასაც ვერასდროს მიაღწევ მოსკოვში. შენ ხომ ქართველი ხარ!“ ამ სიტყვებში ჩანს მესხის პიროვნება. ის ჯერ სხვებზე ფიქრობდა — გუნდზე, საქართველოზე, მეგობრებზე, და შემდეგ უკვე საკუთარ თავზე.

ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით. ერთი თვის წინათ, მისი ქალიშვილის — მეგის დაბადების 17 წელი აღვნიშნეთ. ტრადიციულად შევიკრიბეთ ერთად, ვადღეგრძელეთ ერთმანეთი, ვუსურვეთ ჩვენს შვილებსა და ერთმანეთს კეთილი სურვილები. ვინ იცოდა მაშინ, რომ ჩვენ ოთხნი ერთად — მიშა, მისი მეუღლე ქეთინო, ჩემი მეუღლე ტანია და მე, უკანასკნელად შევიკრიბეთ, მიშა ჩვენთან აღარასოდეს აღარ იქნება. თუმცა, შევცდი. ის იქნება ჩვენთან ყოველთვის.

**სლავა მეტრეველი**

# ბევრი დაგრჩა გასაკეთებელი

„**ვაი**, ჩვენო მიშა, ჩემო საყვარელო ფეხბურთელო! რა დროს შენი წასვლა იყო ამ ცხოვრებიდან. ჯერ ხომ ბევრი რამ გქონდა გასაკეთებელი, თუნდაც ის, რომ შენსავით დიდ ფეხბურთელად აგეზარდა შენი პატარა მამუკა. ბედნიერი ვიყავი, როცა იმ გუნდში ვმუშაობდი, სადაც შენ თამაშობდი. ღმერთმა ნუ გამოულიოს შენნაირი ოსტატები ფეხბურთს. ღრმად თანავუგრძნობ შენს დამწუხრებულ ოჯახს, ახლობლებს, ნაცნობებს, თაყვანისმცემლებს...

მაპატიე, ვერ ვახერხებ, უკანასკნელ გზაზე შენს გაცილებას...

**მიხაილ იაკუშინი**

# ფეხბურთის პოეტი

დიდი სპორტსმენი დავკარგეთ, ფეხბურთის პოეტი.

მიხეილ მესხი ფეხბურთის ცნობილ 35-ე სკოლაში გადასვლამდე „ბილანოვის“ სკოლაში სწავლობდა, ლოტკინის მთაზე (ამჟამად მე-7 სკოლა). ჩვენზე სამი კლასით უკან იყო და მეექვსეკლასელები არ ვათამაშებდით, პატარა ხარო. ეგრე არ უნდაო და მიშამ მარტოდმარტომ დაიწყო თამაში. მუშკორის ქუჩის დასაწყისში, სადაც ის ცხოვრობდა, თუ ლოტკინის მინდვრებზე ეულად ამუშავებდა ბურთს და ისეთი ფინტები შექმნა, რომ ერთი წლის შემდეგ, ასაკით სამი წლით უფროსებს, ტაციობა გვქონდა მასზე.

მიშა ვერ იტანდა რუსულ, პროზაულ, ე. წ. „რაბოტიაგა“ ფეხბურთს. ხან „კროკოდილმა“ გაკიცხა ინდივიდუალური თამაშისთვის, ხან სსრკ-ის ნაკრებში არ შეჰყავდათ (მუშათა სახელმწიფოს „მუშა“ ფეხბურთელი სურდა), მიშა კი მინდორზე ბოლომდე მოაზროვნე ინტელიგენტად დარჩა. ფეხბურთელთა ახალგაზრდა თაობები ხარბად უნდა დაეწაფონ ორიგინალური რითმა-ფინტებით დაწერილ მესხი „მელექსის“ ფეხბურთის პოემას.

**გიგა მახვილაძე (მარტიაშვილი)**

---

**რედაქტორი**

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

---

**ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!**

**საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია**

ნაძალადევის კულტურისა და დასვენების პარკში (ყოფილი კიკვიძის სახელობისა) იხსნება ნარდის სპორტული კლუბი „თბილისი“. ამ მოვლენასთან დაკავშირებით 30 აპრილს ჩატარდება ტურნირი კლუბის გახსნის პრიზზე. რეგისტრაცია 11-დან 20 საათამდე 29 აპრილის ჩათვლით.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

---

**საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია**

3-5 მაისს ქ. ფოთში ატარებს „კოლხეთის“ თასის გათამაშებას ნარდში. მსურველებს შეუძლიათ რეგისტრაციაში გატარდნენ თბილისში ამკ-ში კოსტავას ქ. 34 და ფოთში სპორტკომიტეტის შენობაში. (ყოფილი ცხაკაიას ქ. № 6).

კენჭისყრა ჩატარდება ფოთში 3 მაისს 12 საათზე.

მონაწილეთათვის სასტუმრო დაჯავშნულია.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: მ. ძძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, სავაჭრო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20